Capadecor ArteTwin

უნიკალური, ეფექტური ფითხი ინტერიერში გამოსაყენებლად.

შპს „კაპაროლ ჯორჯია“
ფირმათა ჯგუფ DAW-ს საწარმო

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

ArteTwin არის მიმზიდველი, მრავალფეროვანი ფითხი ბუნებრივად ელეგანტური ზედაპირების შესაქმნელად ინტერიერის კედლებზე. ArteTwin-ტექნიკა შედგება სპეციალურად შექმნილი კომპონენტებისგან რომლების კომბინირება ინდივიდუალურად არის შესაძლებელი. აქტიური კომპონენტების და განსხვავებული სამუშაო ტექნიკის ვარირებით შესაძლებელია ოპტიკურად მრავალფეროვანი ზედაპირების მიღება.

განსაკუთრებული თვისება:
სპეციალურად შექმნილი ქაფჩის მეშვეობით ხდება მინიმუმ ორი აქტიური კომპონენტის ერთდროული დატანა (Twin-Technik). ArteTwin Basic-ი და ArteTwin Effect-ი შეიცავენ ღია ფერის ნაწილაკებს, რომლებიც შეფერადებისას არ ირევა სხვა პიგმენტებში და ღია ფერის ზედაპირებზე წარმოქმნის მაღალი ხარისხის და განუმეორებელი შესახედაობის ეფექტებს. პიგმენტების მეშვეობით შექმნილი სტრუქტურები ამ ტექნიკის დამახასიათებელი ნაწილია. Capadecor ArteTwin-ზე დაცულია საპატენტო უფლება.

თვისებები

- წყალხსნადი, გარემოსთვის უსაფრთხო და უსუნო
- გამოყენებისთვის მზად
- წმენდის უნარით
- არაწვადი, DIN 4102-A2 სტანდარტის შესაბამისად
- შეფერადება ColorExpress-სისტემით

საღებავის ბაზა

აკრილატის დისპერსია

შეფუთვა

5 ლ, 10 ლ.

ფერი

თეთრი, თეთრი ნაწილაკებით
ArteLasur-ის შეფერადება შესაძლებელია ColorExpress-სისტემის დაახლ. 300 ფერში, Caparol 3D-System plus-ზე დაყრდნობით. ფერები არჩეული უნდა იქნას ColorExpress-სისტემის კოლექციიდან “CD ArteTwin”.

კომპონენტების წილობრივი რაოდენობა და თავად კომპონენტები შესაძლოა ვარირებდეს სასურველი იერსახის და დასახული დიზაინერული მიზნების მისაღწევად.

ზედაპირის აჭრელების თავიდან ასარიდებლად სასურველია გრუნტის ტონალობა შეესაბამებოდეს მომდევნო ფენების ტონალობას.

სიპრიალის ხარისხი

ღრმად მქრქალი.

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ, ყინვისგან დაცულ ადგილას.
შეინახეთ მჭიდროდ დახურულ შეფუთვაში.

დამატებითი პროდუქტები

- Indeko-plus
- ArteTwin Effekt Gold
- ArteTwin Effekt Silber

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

PII, PIII ჯგუფის ბათქაშები, PIV-ი ჯგუფის მზა ბათქაშები, ტაბაშირ-მუყაოს ფილები, თაბაშირის სამშენებლო ფილები და ბეტონი.
ზედაპირი უნდა იყოს სუფთა, მზიდუნარიანი და თავისუფალი დამაცალკევებელი ნივთიერებებისაგან.

ზედაპირის მომზადება

მითითება:
უხეში და არაერთგვაროვანი სტრუქტურის მქონე ზედაპირები უნდა გასწორდეს Caparol Akkordspachtel fein oder mittel ან AkkordLeichtspachtel-ის მეშვეობით.
ArteTwin არ გამოიყენება ტუტეების შემცველი ზედაპირების დასაფარად.

PII და PIII-ის ჯგუფის ცემენტის ხსნარის ბათქაშები:
მყარი ნორმალურად შემწოვი ბათქაშის ზედაპირები დაფარეთ Capadecor DecoGrund ან Caparol-Haftgrund-ით. ოდნავ ქვიშანარევი, შემწოვი ბათქაში დაგრუნტეთ CapaSol LF-ით. ძლიერ ქვიშანარევი ბათქაში - Caparol-Tiefgrund TB-ით ან AmphiSilan-Putzfestiger-ით.

PIV-ი ჯგუფის თაბაშირის ხსნარის და მზა ბათქაშები:
სინტერის აპკის მქონე თაბაშირის ბათქაშები დაიშლიფოს და გაიწმინდოს მტვრისგან, დაიგრუნტოს Capadecor DecoGrund-ით ან Caparol-Haftgrund-ით.

თაბაშ-მუყაოს ფილები:
შერჩენილი ფითხი გაშლიფეთ. რბილი ადგილები გაამყარეთ CapaSol LF-ით. ძლიერად შემწოვი ზედაპირი დაგრუნტეთ Caparol-Tiefgrund TB ან AmphiSilan-Putzfestiger.-ით. ნორმალურად შემწოვი - Capadecor DecoGrund-ით ან Caparol-Haftgrund-ით. იმ შემთხვევაში თუ თაბაშირმუყაოს ფილები შეიცავს წყალში ხსნად კომპონენტებს, დაგრუნტეთ Caparol Aqua-Sperrgrund-ით.

თაბაშირის სამშენებლო ფილები:
შერჩენილი ფითხი გაშლიფეთ. რბილი ადგილები გაამყარეთ CapaSol LF-ით. ძლიერად შემწოვი ზედაპირი დაგრუნტეთ Caparol-Tiefgrund TB ან AmphiSilan-Putzfestiger.-ით. ნორმალურად შემწოვი - Capadecor DecoGrund-ით ან Caparol-Haftgrund-ით.

ბეტონი:
არსებობის შემთხვევაში მოაშორეთ განმაცალკევებელი ნივთიერებების ნარჩენები. ძლიერად შემწოვი ზედაპირი დაგრუნტეთ Caparol-Tiefgrund TB ან AmphiSilan-Putzfestiger.-ით. ნორმალურად შემწოვი - Capadecor DecoGrund-ით ან Caparol-Haftgrund-ით.

მზიდუნარიანი დანაფარები:
მქრქალ, ნაკლებად შემწოვ ზედაპირებზე დაიტანეთ შუალედური ფენა Indeko-plus-ით. გლუვი და ლაქით დაფარული ზედაპირები გააუხეშეთ. დაგრუნტეთ Capadecor DecoGrund-ით ან Caparol-Haftgrund-ით.

არამზიდი დანაფარები:
ხელოვნური ფისის, ლაქის, დისპერსიული საღებავების დანაფარები მთლიანად მოაშორეთ. უხეშად ფოროვანი, ცარცვადი, შემწოვი ზედაპირები დაგრუნტეთ CapaSol LF-ით. მინერალური საღებავების გამოუსადეგარი დანაფარები მექანიკურად მოაცილეთ და გაწმინდეთ მტვრისგან. დაგრუნტეთ Caparol –Tiefgrund TB-ით ან AmphiSilan-Putzfestiger.-ით.

დანაფარები წებოვანი საღებავით:
საფუძვლიანად ჩამორეცხეთ. დაგრუნტეთ Caparol-Tiefgrund TB-ით ან AmphiSilan-Putzfestiger.-ით.

რელიეფური, ბოჭკოვანი, ტვიფრული ქაღალდის შეუღებავი შპალერი:
მთლიანად მოაცილეთ. წებოს და ქაღალდის ნარჩენები მოაშორეთ. დაგრუნტეთ Caparol-Tiefgrund TB-ით ან AmphiSilan-Putzfestiger.-ით.

ნიკოტინის, წყლის, ჭვარტლის და ცხიმიანი ლაქებით დაბინძურებული ზედაპირები:
ჩამორეცხეთ ცხიმის მოსაშორებელი საშუალებით (მაგალითად: ჭურჭლის სარეცხი საშუალება), შემდგომ კარგად გააშრეთ. გამშრალ ზედაპირზე შემორჩენილი წყლის ლაქები გახეხეთ და გაწმინდეთ. პირველი ფენა წაუსვით Caparol AquaSperrgrund.

მცირე დეფექტები:
გამოასწორეთ Caparol-Akkordspachtel-ით და შემდგომ დაგრუნტეთ.

ყურადღება:
Caparol Tiefgrund TB-ს ინტერიერში გამოყენებისას წარმოიშობა გამხსნელის ტიპიური სუნი, ამიტომ მუშაობის პროცესში საჭიროა კარგი განიავება.
მგრძნობიარე ადგილებში გამოიყენეთ არაარომატული პროდუქტი AmphiSilan-PutzFestiger-ი.

დატანის მეთოდი

ArteTwin-ის შესრულების ტექნიკა ემყარება ორი აქტიური კომპონენტის ერთდროულ დატანას (Twin-Technik). ArteTwin Basic და ArteTwin Effect-ის დატანა ხდება სპეციალური ქაფჩით ArteTwin. სასურველი იერსახის მისაღებად კომპონენტების დატანა შესაძლებელია ერთდროულად, ან პირველი ფენის გაშრობის შემდეგ ნებისმიერი კომბინაციის გამოყენებით. ArteTwin-ის დატანა ხდება მინიმუმ 3 სამუშაო ფაზად.

პირველი სამუშაო ფაზა
პირველ ფაზაში მომზადებული ზედაპირი უნდა შეიღებოს Indeko-plus-ით. გოგოლაჭის კვალის თავიდან ასარიდებლად ზედაპირს დატანის შემდეგ გადაატარეთ მშრალი ჯაგრისი. ეს ნაბიჯი აუცილებელია ArteTwin-ტექნიკის ფარგლებში. ამ ეტაპზე სხვა მასალის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი.

მეორე სამუშაო ფაზა
მეორე ფაზაში ზედაპირი სრულად უნდა დაიფაროს ArteTwin Basic-ით, საბოლოო ფენის სასურველ ტონალობაში. ამ ფაზაში ორი ფერის გამოყენება არ არის სავალდებულო. მიუწვდომელ ადგილებში გამოიყენეთ შესაბამისი ხელსაწყოები (მაგ. რბილი ფუნჯი).

მესამე სამუშაო ფაზა
მესამე ფაზაში შესაძლებელია რამოდენიმე განსხვავებული ფერის ArteTwin-ის ერთ სვლაში დატანა.
ამისათვის ArteTwin ქაფჩაზე გვერდიგვერდ მოათავსეთ ორი განსხვავებული ფერის ArteTwin Basic-ი ან ArteTwin Basic, ArteTwin Effect Gold ან Silber-თან კომბინაციაში და მსუბუქი დაწოლით, ლაქებად დაიტანეთ კედლის ზედაპირზე. ლაქები უნდა იყოს კარგად “გაჯერებული”, იმისათვის რომ ერთმანეთი გადაფაროს და წარმოქმნას ერთგვაროვანი, ჰომოგენური ზედაპირი.

15-60 წუთიანი (ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის შესაბამისად) პაუზის შემდეგ ArteTwin ქაფჩით კიდევ ერთხელ მსუბუქად გადაუარეთ ზედაპირს, იმისათვის რომ მასალისთვის ტიპიური ეფექტური პიგმენტები კარგად გამომჟღავნდეს. ასე იქმნება ArteTwin ტექნიკის შეუდარებელი იერსახე.

თუ დამატებით სასურველია პერლამუტრის მბზინვარების ეფექტის მიღება, ფითხის გამშრალ ზედაპირზე უნდა დაიტანოთ კიდევ ერთი ფენა ArteTwin Effect Gold ან Silber-ი.

დაფარვის სტრუქტურა

პირველი სამუშაო ფაზა

მომზადებული ზედაპირი იღებება Indeko-plus-ით. გოგოლაჭის კვალის თავიდან ასარიდებლად ზედაპირს დატანის შემდეგ გადაატარეთ მშრალი ჯაგრისი.



მეორე სამუშაო ფაზა

კომპონენტები დაიტანეთ ArteTwin ქაფჩაზე ერთმანეთის გვერდიგვერდ.

მთელი ზედაპირის დაფარვა ArteTwin Basic-ით, საბოლოო ფენის სასურველ ტონალობაში.

ლაქების გადაფარვა ერთგვაროვანი, ჰომოგენური ზედაპირის მისაღებად.

ფითხის დატანისას მიაქციეთ ყურადღება, რომ არ ისმოდეს კაწვრის ხმები. ქაფჩა რბილად უნდა სრიალებდეს ზედაპირზე.

მესამე სამუშაო ფაზა

ArteTwin Basic-ის ორი ფერი ან ArteTwin Basic, ArteTwin Effect Gold ან Silber-თან კომბინაციაში მოათავსეთ ArteTwin ქაფჩაზე, მსუბუქი დაწოლით, “გაჯერებულ” ლაქებად დაიტანეთ კედლის ზედაპირზე და შემდგომ გადაფარეთ ერთგვაროვანი, ჰომოგენური ზედაპირის მისაღებად. ქაფჩის მონასმის მიმართულება გავლენას ახდენს საბოლოო იერსახეზე.

ფითხის გამშრალ ზედაპირზე შესაძლებელია კიდევ ერთი ფენა ArteTwin Effect Gold ან Silber-ის დატანა.

ხარჯი

დაფარვა ერთ ფერში:

ArteTwinBasic: დაახლ. 500 მლ/მ²/ერთ ფენაზე.

დაფარვა ორ ფერში:

1. სვლა (სრულდება ერთ ფერში): დაახლ. 500 მლ/მ² ArteTwinBasic-ი

2. სვლა: დაახლ. 200-250 მლ/მ² ArteTwinBasic-ი, თითოეული ფერი

ალტერნატიულად:

2. სვლა ArteTwin Effect-ით:
ArteTwin: დაახლ. 150-200 მლ/მ², თითოეული ფერი და 150-200 მლ/მ² ArteTwin Effect Gold ან Silber.
პროდუქტის ხარჯის ზუსტი განსაზღვრა ხდება სასინჯი დატანით.

გამოყენების პირობები

მასალის, გარემოს და ზედაპირის ტემპერატურა:
მინიმალური ტემპერატურა: +5°C.

შრობის დრო

20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი მშრალია დაახლ 6 საათში. მრავალფენიანი ტექნიკის შესრულებისას დაიცავით 12 საათიანი შრობის დრო თითოეული ფენის დატანის შემდეგ.

ხელსაწყოები

ArteTwin Kelle:

პლასტმასის ქაფჩა მომრგვალებული კუთხეებით და ცვ;ადი პირით. პირები ადვილად იცვლება. ArteTwin ტექნიკით მუშაობისას აუცილებლად გამოიყენეთ ქაფჩა ArteTwin Kelle. სამუშაოების დამთავრებისთანავე გაირეცხოს წყლით ან სარეცხი საშუალებით.

მითითება

დატანის ტექნიკის და მასალის რაოდენობის მიხედვით ზედაპირზე შესაძლებელია წარმოიქმნას განსხვავებული სტრუქტურები. ArteTwin-ით შეუძლებელია სრულიად გლუვი ზედაპირის მიღება. მეტი სიგლუვისათვის ArteTwin-ი შესაძლებელია დამატებით დაიფაროს Deco-Lasur-ის ფენით, რომელიც დაიტანება გაუზავებლად, ქაფჩით ArteTwin Kelle.

შენიშვნები

ყურადღება

მოარიდეთ ბავშვებს. არ ჭამოთ, დალიოთ ან მოწიოთ პროდუქტთან მუშაობის დროს. დამუშავების და შრობის პროცესში იზრუნეთ შესაბამის განიავებაზე. კანთან ან თვალებთან კონტაქტისას დაუყოვნებლივ დაიბანეთ წყლით. არ დაუშვათ კანალიზაციაში, წყალსაცავებში ან ნიადაგში მოხვედრა.
შეიცავს 1,2-ბეზიზოთიაზოლ-3(2H)-ონს, 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონს. შესაძლებელია გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.

უტილიზაცია

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას როგორც დისპერსიული საღებავის ნაშთი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც გამხმარი საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.

აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC)

პროდუქტის კატეგორია (A/l): 200 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 50 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

პროდუქტის კოდი
საღებავები და ლაქები

M-DF01

შემადგენლობა

აკრილის ფისის დისპერსია, ფერადი პიგმენტები, მინერალური შემავსებლები, წყალი, ადიტივები, კონსერვანტები (მეთილ-/ბენზიზოთიაზოლინონი).

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ.
იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ Caparol-ის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია Caparol-ი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8, 0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge